ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2472675

ნომერი: AR1383179

თარიღი : 02.03.2016

გაცემის თარიღი : 09.03.2016

გაცნობის თარიღი : 14.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე ქავთარაძის ქუჩის I შესახვევი N10;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილი ღლონტი პ/ნ 01006014747
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 12 ბ. 45

ორგანიზაცია:
- ოპტიმალ სერვისი კოდი: 404923277

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქუჩაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობისა შემცირება. სარეკლამო აბრები განთავსდეს მხოლოდ ვიტრინების თავზე, ვიტრინაზე ბადე სტიკერების გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ფოტოსურათზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი. გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე შესრულებული წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული, აღნიშნული ასევე ვრცელდება ლოგოზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.